

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 232

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 23 ივლისი, 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, სს „შელტეკ საქართველო“ „SchelTec AG“-ს წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში, წარმომადგენლის, დირექტორის ალექს წიქარიძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მესამე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 ივნისის N2416 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველმა“, მოლაპარაკების საფუძველზე, „მიმწოდებლისგან“ მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით 42950000 - ზოგადი დანიშნულების დანადგარების ნაწილები - გათვალისწინებული საქონლის, კერძოდ, ბიუროს ბალანსზე რიცხული ქრომატოგრაფ „CLARUS 600“-ის ბლოკის VOLT CONY HV-AC to DC 3000VRMS (P/N 09290234) მიწოდებაზე, საერთო თანხით 4965.00 (ოთხი ათას ცხრაას სამოცდახუთი ა.შ.შ. დოლარი და 00 ცენტი) აშშ დოლარი დღგ-ის ჩათვლით (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
 2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
 3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
 4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებამდე, არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა.
 5. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1 - მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
 6. ხელშეკრულება შედგენილია 07 (შვიდი) გვერდზე, 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
- ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84
ტელ: (995 32) 2 25 84 84

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი
ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707767126
ს/კ 204852089


„მიმწოდებელი“
სს „შელტეკ საქართველო“

მის: ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. N 4
ტელ: (995) 5 577766691

ს.ს „ბაზისბანკი“;
ბანკის კოდი: CBASG22;
ა/ა GE06 BS00 0000 0023 4366 13;
ს/კ 204545260.

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე

დირექტორი
ალექს წიქარიძე



ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი და თავსებადი ქრომატოგრაფ „CLARUS 600“-თან.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი - მალხაზ ჯოხაძე.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეკეთება ან/და შეცვლა შეტყობინებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. დეფექტური ან ნაკლული საქონლის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზის მქონე საქონელი.

3.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს სხვა ვალდებულებებისაგან.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

4.1. ქრომატოგრაფ „CLARUS 600“-ის ბლოკის VOLT CONY HV-AC to DC 3000VRMS (P/N 09290234) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, არაუგვიანეს 2019 წლის 21 ოქტომბრისა.

4.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ. შესყიდვის ობიექტის მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირი.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საქონლის მიღებაზე.

6.2 მიმწოდებელი თავისუფლდება 3.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

ხელშეკრულების ღირებულება ლარში დაანგარიშდება ხელშეკრულების ღირებულების - 4965 აშშ დოლარის - კონვერტაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 და 4.1 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,15%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,15% ოდენობით.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ მე-12 მუხლის 12.1 ან 12.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. გადასახადები და დაბეგრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

Monza, October 16th, 2018

TO WHOM IT MAY CONCERN


Hereby we confirm that PerkinElmer Italia Spa, with a registered office Via Vincenzo Gioberti n°4, 20123 Milan, Italy and offices via Tiepolo 24, 20052 Monza, Italy, is a wholly owned subsidiary of PerkinElmer Inc, a worldwide leading manufacturer of scientific and laboratory instruments, software, consumable and reagents.

PerkinElmer Italia Spa is responsible for developing the PerkinElmer Export business in many different Countries, including Russian Federation and CIS Countries, Georgia and Mongolia.

We hereby confirm that Scheltec AG, Businesspark Zug, Sumpfstrasse 26, CH-6301 Zug (Switzerland) is the official representative of PerkinElmer Corporation in the above mentioned Countries and is responsible for establishing dealers network, sales and after-sales service for all PerkinElmer Human Health/Environmental Health reagents, consumable, software licenses and instruments sold in the specified territory.

They have offices in Zug, Moscow, St. Petersburg, Kiev and Tbilisi with dedicated sales, service, support and customer care personnel.

Sincerely yours,



Sergio Cerizza

Marketing Leader, EMEA

Sales Leader, CIS, ED, South East Europe

PerkinElmer Italia Spa

Duly authorized to sign this statement on behalf of PerkinElmer Italia Spa

PerkinElmer®

უკეთესობისთვის

სადაცაცაა | გაიყოს სასტიკი მდგომარეობა

შპს „Perkin Elmer Italia“
გ.ბ. ტიეპოლოს ქუჩა #24
20052 მონცა MB
იტალია

ტელეფონი: +39 039 23831
ფაქსი: +39 039 2383490
www.perkinelmer.com

მონცა, 16 ოქტომბერი 2018 წ.

საჭიროების ადგილას წარსადგენად

წინამდებარით ჩვენ ვადასტურებთ, რომ შპს „PerkinElmer Italia“, რეგისტრირებული ოფისით მისამართზე: ვინჩენცო ჯიობერტის ქუჩა #4, 20123 მილანი, იტალია, ხოლო ოფისები მდებარე მისამართზე: ტიეპოლოს ქუჩა #24, 20052 მონცა, იტალია, წარმოადგენს „PerkinElmer Inc“-ის სრულ მფლობელობაში არსებულ შვილობილ კომპანიას, რომელიც არის მეცნიერული და ლაბორატორიული ინსტრუმენტების, პროგრამული უზრუნველყოფის, სამომხმარებლო ნივთებისა და რეაგენტების მსოფლიოს წამყვანი მწარმოებელი.

შპს „PerkinElmer Italia“ პასუხს აგებს „PerkinElmer“-ის საექსპორტო ბიზნესის განვითარებაზე მრავალ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთის ფედერაციასა და დსთ-ს ქვეყნებში, საქართველოსა და მონღოლეთში.

ჩვენ წინამდებარით ვადასტურებთ, რომ „Scheltec AG“, ბიზნესპარკ-ცუგი, სუმპფსტრამეს #26, CH-6301 ცუგი (შვეიცარია) არის კორპორაცია „PerkinElmer“-ის ოფიციალური წარმომადგენელი ზემოხსენებულ ქვეყნებში და პასუხს აგებს სადილერო ქსელის უზრუნველყოფაზე, გაყიდვებისა და გაყიდვების შემდგომ მომსახურებაზე „PerkinElmer“-ის ადამიანის ჯანდაცვასთან/გარემოს სანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ რეაგენტებზე, სამომხმარებლო ნივთებზე, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებისა და ინსტრუმენტებზე, რომლებიც გაყიდულ იქნა კონკრეტულ ტერიტორიაზე.

მათ გააჩნიათ ოფისები ცუგში, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, კიევსა და თბილისში სპეციალიზირებული გაყიდვებით, მომსახურებით, მხარდაჭერითა და კლიენტზე მზრუნველი პერსონალით.

პატივისცემით თქვენი,

/ხელმოწერილია/

სერჯიო ჩერიცა

მარკეტინგის უფროსი, EMEA

გაყიდვების უფროსი, CIS, ED, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა

შპს „PerkinElmer Italia“

სათანადოდ უფლებამოსილი პირი, რათა ხელი მოაწეროს წინამდებარე განცხადებას შპს „PerkinElmer Italia“-ს სახელით.

თარჯიმანი: ნინო ჯიხაძე

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N190630282



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

03.06.2019 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ნუნუ კაკოჩაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის
მიმდებარედ.

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 30 69 98; 591 70 99 72

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

16234869774719



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქ. თბილისი, 03 ივნისი 2019 წელი

მე, ნოტარიუსი ნუნუ კაკოჩაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ, ვადასტურებ მთარგმნელის ნინო ქოჩლადის (დაბ. 07.08.1989 წ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. ზანდუკელის ქუჩა №11, ბ. 14, პირადი №01017035227) ხელმოწერის ნამდვილობას დოკუმენტის თარგმანზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი MH № 000416, გაცემული 2014 წლის 31 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ). მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.


გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: ოთხი (4) ლარი და ოცდათექვსმეტი (36) თეთრი; აქედან: ორი (2) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 31-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა და დღგ: ოცდათექვსმეტი (36) თეთრი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად.

Tbilisi, Georgia, June 03, 2019

I, notary Nunu Kakochashvili, whose notary bureau is located at the address: adjacent to №67, Ke tevan Tsamebuli Ave., Tbilisi, certify the genuineness of the signature of the translator Nino Kochladze (born on: 07.08.1989 in Tbilisi, residing at the address: 11, M. Zandukeli street, Tbilisi, personal №01017035227) on the translation of the document. The translator presented a document certifying her knowledge of English language (Diploma MH № 000416, issued on July 31, 2014 by Ivane Javakhishvili Tbilisi State University). Translator is warned about the responsibility for the accuracy of the translation and gives the guaranty of accurate translation.

Notary Fee for implementation of notary actions is paid, total: four (4) GEL and thirty-six (36) tetri, from which: two (2) GEL according to Article 31 of the Resolution of the Georgian Government of December 29, 2011 "On Approval of the Fees for Implementation of Notary Actions and the Fees Established for the Notary Chamber of Georgia, their Payment Procedure and Service Terms", two (2) GEL (including VAT) for registration of the notary action in the electronic register according to Article 39 of the same Resolution and thirty-six (36) tetri according to Article 169 of the Tax Code of Georgia.

ნოტარიუსი:
Notary:



ნუნუ კაკოჩაშვილი
Nunu Kakochashvili

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

23 ივლისი, 2019 წ.

ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ, 2019 წლის 23 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 220 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელ ორგანიზაციასთან - სს „შელტეკ საქართველო“ „SchelTec AG“-ს წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით:

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი:

გიორგი მუმლაძე


ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი



ხელშეკრულების მომზადებაზე უფლებამოსილი პირები:


ნიკოლოზ ქართველიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის დაგეგმვის და შესყიდვების სამმართველოს უფროსი



თეონა როსტომაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის დაგეგმვის და შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი



მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების განმახორციელებელი პირი:

მალხაზ ჯოხაძე

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი

